

სებ–ის პრეზიდენტის ბრძ. N1 04.01.08. „სებ–ის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის დებულების დამტკიცების თაობაზე“ (ბრძ.N40–03.02.02) ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N1
2008 წლის „4“ იანვარი
ქ. თბილისი

„საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 13 თებერვლის N40 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 73–ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 50–ე მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 13 თებერვლის N40 ბრძანება „საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის დებულების დამტკიცების თაობაზე“

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი

დ. ამალობელი

დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის 2002 წლის 13
თებერვლის
N 40 ბრძანებით
2003 წლის 26 მარტის N 69 ბრძანებით,
2003 წლის 23 მაისის N118 ბრძანებით,
2004 წლის 5 ოქტომბრის N 216 ბრძანებით,
2005 წლის 3 მაისის N100 ბრძანებით,
2005 წლის 6 მაისის N105 ბრძანებით,
2007 წლის 7 ივნისის N148 ბრძანებით,
შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

დებულება შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის 73-ე მუხლის საფუძველზე, ამავე კანონის მე-2 და 33-ე მუხლების შესასრულებლად.

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის (შემდგომში „აუქციონის“) შექმნის, ხელმძღვანელობის, მუშაობისა და საკრედიტო რესურსებით ელექტრონული ფორმით ვაჭრობის წესებს.

2. აუქციონს ატარებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

3. აუქციონის მუშაობას წარმართავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკრედიტო კომიტეტი.

4. აუქციონი ეწყობა ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში ყოველდღიურად (შაბათ-კვირის გარდა). ვაჭრობა იწყება 15 საათზე

5. საკრედიტო რესურსების ყიდვა-გაყიდვა ხდება ელექტრონული ფორმით. აუქციონებზე ვაჭრობა წარმოებს თანამიმდევრულად 7 დღემდე, 28 დღემდე, 56 დღემდე და 84 დღემდე დაფარვის ვადის მქონე საკრედიტო რესურსებით. ამასთან, საკრედიტო აუქციონები იმართება ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა.

6. მყიდველი ბანკის მიერ შეძენილი საკრედიტო რესურსები უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი გირაოთი. გირაოდ მიიღება ეროვნულ ბანკში მყიდველი ბანკის სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე რიცხული თანხა, უცხოური ვალუტით საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული ნაშთი და მის მფლობელობაში არსებული სახაზინო ვალდებულებები. ამასთან, ამ უკანასკნელის ნოტარიულად დამოწმება აუცილებელი არ არის, რადგან მათი შენახვის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

7. ა) აუქციონში მყიდველის სტატუსით მონაწილეობის უფლება ეძლევათ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ CAMEL-ის რეიტინგული სისტემით პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის ბანკებს (რეიტინგებს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტი. საკრედიტო კომიტეტი ხელმძღვანელობს ზედამხედველობის დეპარტამენტიდან მიღებული ბოლო ინფორმაციით);

ბ) 1-ლი და მე-2 კატეგორიის ბანკების მიერ შესაძენი საკრედიტო რესურსების მოცულობა განისაზღვრება სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე რიცხული თანხის 70%-ით, ხოლო მე-3 კატეგორიის ბანკებისათვის – 50%-ით;

გ) სავალუტო სახსრების, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის, გამოყენების შემთხვევაში შესაძენი საკრედიტო რესურსების მოცულობა ამავე პუნქტში აღნიშნული კატეგორიის ბანკებისათვის განისაზღვრება ეროვნულ ბანკში მათი უცხოური ვალუტით საკორესპონდენტო ანგარიშზე ფაქტობრივად რიცხული ნაშთის 90%-ით. ასეთ შემთხვევაში, საკრედიტო კომიტეტი ამზადებს განკარგულებას (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის) სავალუტო სამმართველოს მიერ შესაბამისი თანხის “დეპოზიტები გარანტიების მიხედვით უცხოური ვალუტით” ანგარიშზე გადატანის შესახებ. ამასთან, კრედიტის დაფარვის მიზნით აღნიშნული გირაოს სრულად ან ნაწილობრივ გამოუყენებლობის შემთხვევაში დარჩენილი თანხა კრედიტის დაფარვის დღეს, იმავე განკარგულების საფუძველზე, გადაიტანება მყიდველი ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე უცხოური ვალუტით;

დ) სახაზინო ვალდებულებების, როგორც საგირავნო უზრუნველყოფის, გამოყენების შემთხვევაში შესაძენი საკრედიტო რესურსების ზღვრული ოდენობა გაიანგარიშება ფორმულით:

$$F = \frac{N \times E}{1 + \left(\frac{i}{100} \times \frac{d}{365} \right)} * 0.9$$

სადაც:

F – არის სახაზინო ვალდებულებების უზრუნველყოფით გასაცემი სახსრების საერთო ოდენობა;

N – თითოეული სახაზინო ვალდებულების ნომინალური ღირებულება;

E – სახაზინო ვალდებულებების რაოდენობა;

i – ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

მეორადი ბაზრის ჩამოყალიბებამდე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ეროვნული ბანკის მიერ ამ დებულების მე-3 დანართში განსაზღვრული წესით.

D – სახაზინო ვალდებულებების დაფარვამდე დარჩენილი დღეების რაოდენობა.

8. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ მეთაურ საბანკო დაწესებულებებს.

9. ბანკებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ დაიშვებიან აუქციონზე, აღნიშნულის შესახებ ეცნობებათ განაცხადის წარდგენისთანავე.

10. საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს აუქციონში კომერციული ბანკებისათვის დაწესებული პირობებით.

11. აუქციონზე ელექტრონული ვაჭრობისათვის კომერციული ბანკის დაშვების ხარისხისა და უფლებების განსაზღვრას ახდენს ეროვნული ბანკის უშიშროებისა და ინფორმაციის დაცვის სამმართველო, რის საფუძველზეც გაიცემა დაშვების პაროლი კომერციული ბანკის კონკრეტული თანამშრომლისათვის, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნულ ბანკთან ოპერაციების წარმოებისათვის.

12. ვაჭრობის მონაწილენი ვალდებული არიან დაიცვან საბანკო კანონმდებლობა და ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 2. საკრედიტო კომიტეტის უფლება-მოვალეობანი

საკრედიტო კომიტეტი:

1. იღებს განაცხადებს ელექტრონული ფორმით საკრედიტო რესურსების მყიდველი და გამყიდველი ბანკებისაგან აუქციონში მონაწილეობის შესახებ.

2. ამოწმებს აუქციონში მყიდველის სტატუსით მონაწილეთა განაცხადებში მითითებული საკრედიტო რესურსების მოცულობის შესაბამისობას ამ დებულების 1-ლი მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული კრედიტის უზრუნველყოფის ლიმიტებთან (გირაოს სახეობების მიხედვით). ასევე, ამოწმებს მის შესაბამისობას სახაზინო ვალდებულებების დაგირავების თაობაზე მყიდველი ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში წარმოდგენილ შეტყობინებასთან, ხოლო ამ უკანასკნელს უდარებს სახაზინო ვალდებულებების რეესტრს.

3. ამოწმებს გამყიდველის სტატუსით ვაჭრობის მონაწილეთა საკორესპონდენტო ანგარიშებზე შესაბამისი სახსრების არსებობას (ამასთან, შესაბამისი განაცხადების წარმოდგენიდან აუქციონის შედეგების მიხედვით საბოლოო ანგარიშსწორებების დასრულებამდე საქართველოს ეროვნული ბანკი (მათთან შეთანხმებით) აჩერებს აქტიურ ოპერაციებს გამყიდველის სტატუსით ვაჭრობის მონაწილეთა „საკორესპონდენტო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში“). ასევე, ამოწმებს CAMEL-ის სისტემით მყიდველის სტატუსით მონაწილე ბანკებისათვის მინიჭებულ რეიტინგს (ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ინფორმაციის საფუძველზე)”
4. აუქციონზე შემდგარი გარიგებების შემდეგ ასრულებს აგენტის როლს მსესხებელსა და კრედიტორს შორის, რაც გამოიხატება ხელშეკრულების დადების პროცედურაში უშუალო მონაწილეობითა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლით.
5. უზრუნველყოფს გარიგების მონაწილეთა მიერ საკომისიო გადასახდელის ეროვნული ბანკის ანგარიშზე დროულად ჩარიცხვის კონტროლს.
6. კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტების დაფარვამდე სავალდებულო რეზერვების პირად ანგარიშზე განთავსებული თანხის ხელშეუხებლობის მიზნით ეროვნული ბანკის ბანკების ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს აწვდის ინფორმაციას ბანკების მიერ ნაყიდი საკრედიტო რესურსის, მასზე დარიცხული პროცენტებისა და მისი სარგებლობის ვადის შესახებ;
7. უფლებამოსილია მსესხებელთან შეთანხმებით სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტების დაფარვის ვადის დადგომისას დავალიანების დაფარვა განახორციელოს, პირველ რიგში, მისი საკორესპონდენტო ანგარიშიდან, ხოლო მასზე რიცხული თანხების უკმარისობის შემთხვევაში - სესხის უზრუნველყოფიდან.

8. სესხის უზრუნველყოფად ფასიანი ქაღალდების გამოყენების შემთხვევაში, კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის დასაფარავად მსესხებლის საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების უკმარისობისას საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია მათი დაფარვა უზრუნველყოს იმავე დღეს. ამასთან, ეროვნული ბანკი მსესხებლის მიერ გირაოში ჩადებული ფასიანი ქაღალდების ღირებულებას აღრიცხავს ბალანსზე, რომელიც განისაზღვრება ამ დებულების მე-3 დანართში მითითებული ფორმულით, “I”-ის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

მუხლი 3. აუქციონის მუშაობის წესი

1. საბანკო დაწესებულებები, რომლებსაც აუქციონზე გასაყიდად გამოაქვთ საკრედიტო რესურსები ან აპირებენ მათ შექმნას, აუქციონის კომიტეტს ელექტრონული ფორმით წარუდგენენ შესაბამის განაცხადს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საკრედიტო რესურსების ვადიანობა, საპროცენტო განაკვეთი და მოცულობა. განაცხადების რეგისტრაცია ხდება სპეციალურ დავთარში და დამუშავდება კომპიუტერული წესით.
2. პირველადი განაცხადი ელექტრონული ფორმით წარდგენილ უნდა იქნეს აუქციონის დაწყებამდე 30 წუთით ადრე.
3. თუ ბანკი ტექნიკური მიზეზების გამო ვერ ახერხებს სავაჭრო სისტემაში პირველადი განაცხადის გაკეთებას, იგი არ დაიშვება აუქციონზე.
4. განაცხადში კრედიტის გაყიდვის ან ყიდვის შესახებ მიეთითება შესაბამისი თანხა ლარებით, საპროცენტო განაკვეთი და კრედიტის ვადიანობა, რომლითაც კრედიტორი ან მსესხებელი ითვალისწინებს კრედიტის გაცემას ან შექმნას.
5. განაცხადი კრედიტის ყიდვის შესახებ არ მიიღება, თუ მასში მითითებული თანხა საგირავნო უზრუნველყოფას აღემატება, ე.ი. როდესაც შესაძენი კრედიტის ღირებულება ადრე შექმნილ და დაუფარავ საკრედიტო რესურსებთან ერთად აღემატება ამ დებულების 1-ლი მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული კრედიტის უზრუნველყოფის ლიმიტებს (გირაოს სახეობების მიხედვით).

6. კრედიტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ განაცხადში მითითებული თანხები შეიძლება შეიცვალოს აუქციონის თითოეულ ეტაპზე. ამასთან, ახალი განაცხადების წარმოდგენა ხდება დადგენილი ელექტრონული ფორმის შესაბამისად.

7. აუქციონის დაწყებისას საკრედიტო კომიტეტი მონაწილეებს აცნობებს კრედიტის შეძენის შესახებ განაცხადებში მითითებულ უმაღლეს საპროცენტო განაკვეთს (შემდგომში-საწყისი პროცენტი) და კრედიტების მოთხოვნის ოდენობას, აგრეთვე კრედიტების გაყიდვის შესახებ განაცხადებში წარმოდგენილ საერთო თანხას.

8. იმ შემთხვევაში, თუ საწყისი საპროცენტო განაკვეთით შესაძენი თანხა ნაკლებია გასაყიდად გამოტანილი კრედიტის თანხაზე, ან პირიქით, შესაძენი კრედიტის თანხა მეტია გასაყიდად გამოტანილი კრედიტის ოდენობაზე, აუქციონის სპიკერი აცხადებს 5 - წუთიანი ინტერვალით ახალი განაცხადების წარდგენის შესახებ, რომლებშიც საპროცენტო განაკვეთი იქნება შესაბამისად ერთი ან რამდენიმე პუნქტით დაბალი ან მაღალი (საპროცენტო განაკვეთის შეცვლის მინიმალური სიდიდე უნდა შეადგენდეს წლიურ 1 პროცენტს). თუ 5 - წუთიანი ინტერვალში ვაჭრობის მონაწილე ბანკმა ვერ მოახერხა მომდევნო განაცხადის გაკეთება, ბანკი ავტომატურად ეთიშება აუქციონის მსვლელობას.

9. მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედება, მეორდება მანამდე, სანამ შესაყიდი კრედიტების საერთო თანხა გამოცხადებული საპროცენტო განაკვეთით არ გაუტოლდება გასაყიდი კრედიტების საერთო თანხას (პლუს-მინუს 10 ათასი ლარის ფარგლებში, რომელსაც ეროვნული ბანკი თავისი შეხედულებისამებრ აბალანსებს განაცხადის წარდგენის გარეშე ან ანაწილებს პროპორციულად). ამასთან, ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთის არაუმეტეს 3-ჯერ განმეორების შემთხვევაში, კომიტეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს აუქციონი (აუქციონი გამოცხადდება ჩამოილა და გარიგებები არ დაიდება) ან სახსრები პროპორციულად გაანაწილოს კრედიტების მიღებისა და გაყიდვის შესახებ განაცხადებში წარმოდგენილი თანხების მიხედვით.

10. აუქციონი იხურება მე-9 პუნქტში გათვალისწინებული მოქმედებების შედეგად საპროცენტო განაკვეთის მიღებისას (შემდგომში „საბოლოო საპროცენტო განაკვეთი“).

11. აუქციონის დამთავრების შემდეგ საკრედიტო კომიტეტი აფორმებს გარიგების რეგისტრაციის ფორმას, რომელიც გარიგების დამადასტურებელი დოკუმენტია, დამოწმებული ეროვნული ბანკის ბეჭდითა და პასუხისმგებელი პირების (საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, საკრედიტო კომიტეტის წევრები) ხელმოწერით.

12. გარიგების დადების შემდეგ საკრედიტო კომიტეტი ამზადებს საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას, რომელიც გადაეცემა ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოს შესასრულებლად, რის საფუძველზეც, გარიგების მონაწილეებთან შეთანხმებით, მათი საკორესპონდენტო ანგარიშიდან ეროვნული ბანკის სასარგებლოდ ჩამოიწერება საკომისიო თანხები, რომელიც განისაზღვრება გარიგების შესაბამისად წლიური 0.1 პროცენტის ოდენობით. ამასთან, ანგარიშსწორების განხორციელების ვადა შეადგენს 1 საბანკო დღეს გარიგების დადების დღიდან.

13. საკომისიო გადასახდელის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევი მხარე დაჯარიმდება გარიგებაში მითითებული თანხის 0,5 პროცენტით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელიც ეროვნული ბანკის განკარგულებით ჩამოიწერება საკორესპონდენტო ანგარიშიდან ეროვნული ბანკის სასარგებლოდ.

მუხლი 4. ხელშეკრულების დადების და შესრულების პროცედურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც აგენტი, პოტენციურ მსესხებლებთან და გამსესხებლებთან აფორმებს გენერალურ ხელშეკრულებას, რომელიც დამოწმდება მხარეთა ხელის მოწერით.

2. კრედიტორები და მსესხებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრების არსებობა აუქციონზე დაფიქსირებულ გარიგებათა მიხედვით.

3. ა) კრედიტის და მასზე დარიცხული პროცენტის დასაფარავად მსესხებლის საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების უკმარისობისას დარჩენილი დავალიანება იფარება სესხის უზრუნველყოფის ხარჯზე;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით ამონაგები თანხა ნაკლები აღმოჩნდება მსესხებლის მიერ ნაყიდ რესურსსა და მისი სარგებლობისათვის გადასახდელ პროცენტზე, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს უკმარი თანხა უპირობოდ მიიღოს მსესხებლის სხვა აქტივებიდან, ხოლო თუ ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით ამონაგები თანხა მსესხებლის მიერ ნაყიდ რესურსსა და მისი სარგებლობისათვის გადასახდელ პროცენტზე მეტია, სხვაობა უბრუნდება მსესხებელს;

გ) უცხოური ვალუტით საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული თანხის, როგორც სესხის უზრუნველყოფის, გამოყენების შემთხვევაში, კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის დასაფარავად მსესხებლის საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების უკმარისობისას, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია მათი დაფარვა უზრუნველყოს იმავე დღეს. ამასთან, ეროვნული ბანკი მსესხებლის მიერ გირაოში ჩადებული უცხოური ვალუტით საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხულ თანხას შეისყიდის კრედიტის დაფარვის დღეს არსებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო, თუ გირაოს რეალიზაციით ამონაგები თანხა მსესხებლის მიერ ნაყიდ რესურსზე და მისი სარგებლობისათვის გადასახდელ პროცენტზე მეტია, სხვაობა უბრუნდება მსესხებელს.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. აუქციონის მონაწილეები ვალდებული არიან განუხრელად დაიცვან ვაჭრობის წესები და გარიგების პირობები.

2. საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია გააკონტროლოს ვაჭრობის მონაწილეების მიერ ამ დებულებისა და გარიგების პირობების დაცვის მდგომარეობა.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს სავაჭრო სისტემის (ელექტრონული ვაჭრობის) სათანადო და შეუფერხებელ მუშაობას, აგრეთვე სისტემაში წარდგენილი განაცხადებისა და რეგისტრირებული გარიგებების სისწორეს.

4. აუქციონის მონაწილე კომერციულმა ბანკებმა უნდა უზრუნველყონ ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონის სავაჭრო სისტემის დანერგვა და გამართული მუშაობა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს ორგანიზებული ელექტრონული ვაჭრობის გზით მონაწილეობა მიიღონ აუქციონში.

5. ამ დებულებით გაუთვალისწინებული საკითხების წამოჭრის შემთხვევაში, მათ დასარეგულირებლად საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

6. გარიგებასთან დაკავშირებით წამოჭრილი სადავო საკითხები, რომელთა მოგვარება მოლაპარაკების გზით შეუძლებელია, განიხილება სასამართლოში.

საქართველოს ეროვნული ბანკის
ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის
დებულების დანართი N1

გენერალური ხელშეკრულება სესხის აღების შესახებ

ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, _____, როგორც ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე კრედიტორის აგენტი, ხოლო მეორე მხრივ,

_____ ,

(კომერციული ბანკის დასახელება, მისი ხელმძღვანელის სახელი და გვარი)

როგორც მსესხებელი, “საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის დებულების” შესაბამისად აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ეროვნული ბანკი კრედიტორთა რწმუნებით მსესხებელს ასესხებს ფულად სახსრებს საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე შემდგარი გარიგების შესაბამისად, აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო საპროცენტო განაკვეთით.

ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე ყველა ვადიანობით წარმოებული ოპერაცია განიხილება როგორც გარიგება და გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან.

2. მსესხებლის ვალდებულება

მსესხებელი ვალდებულია:

1. სესხის დაფარვის დღეს უზრუნველყოს საკორესპოდენტო ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობა, როგორც სესხის ძირითადი ნაწილის, ისე მასზე დარიცხული პროცენტების ვადაში დასაფარავად.
2. გადაიხადოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ საკომისიო თანხა, რომელიც განისაზღვრება გარიგების შესაბამისად წლიური 1 პროცენტის ოდენობით.
3. განუხრელად დაიცვას აუქციონზე ვაჭრობის წესები და გარიგების პირობები.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც კრედიტორის აგენტის, ვალდებულება

საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია:

1. მსესხებელთან ანგარიშსწორება განახორციელოს ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე გარიგების დადების დღიდან 1 საბანკო დღის განმავლობაში.
2. უზრუნველყოს სავაჭრო სისტემის სათანადო და შეუფერხებელი მუშაობა, აგრეთვე სისტემაში წარდგენილი განაცხადებისა და გარიგებების სწორი რეგისტრაცია.

4. განსაკუთრებული პირობები

1. სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტების დაბრუნება გარანტირებულია ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე რიცხული თანხით, უცხოური ვალუტით საკორესპოდენტო ანგარიშზე არსებული ნაშთითა და მყიდველის მფლობელობაში არსებული სახაზინო ვალდებულებებით.

2. მსესხებელი თანახმაა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უშუალოდ განახორციელოს ეროვნულ ბანკში მისი საკორესპოდენტო ანგარიშიდან თითოეულ აუქციონზე შემდგარ გარიგებასთან დაკავშირებული ოპერაციები.

3. მსესხებელი თანახმაა სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტების დაფარვის ვადის დადგომისას დავალიანების დაფარვა განახორციელოს, პირველ რიგში, მისი

საკორესპონდენტო ანგარიშიდან, ხოლო მასზე რიცხული თანხების უკმარისობის შემთხვევაში, - სესხის უზრუნველყოფიდან.

4. საკომისიო გადასახდელის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევი მხარე დაჯარიმდება გარიგებაში მითითებული თანხის 0,5 პროცენტით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელიც ეროვნული ბანკის განკარგულებით ჩამოიწერება საკორესპონდენტო ანგარიშიდან ეროვნული ბანკის სასარგებლოდ.

5. დამატებითი პირობები

1. ეს ხელშეკრულება ფორმდება 1 წლის ვადით და მისი მოქმედება ავტომატურად გრძელდება ყოველი შემდგომი 1 წლით თუ ვადის დამთავრებამდე არაუგვიანეს 10 დღისა ერთ- ერთმა მხარემ არ მიიღო წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

2. მხარეებს უფლება აქვთ ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, თუ ამის შესახებ სულ ცოტა 10 დღით ადრე წერილობით აცნობებენ მეორე მხარეს.

3. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

4. ამ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ყველა სადავო საკითხი გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლო წესით.

5. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ეროვნული ბანკის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის კომიტეტში, ხოლო მეორე მსესხებელთან და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

6. მხარეთა იურიდიული მისამართები

კრედიტორი _____

მსესხებელი _____

საქართველოს ეროვნული
ბანკის ვიცე-პრეზიდენტი

მსესხებელი

გენერალური ხელშეკრულება სესხის გაცემის შესახებ

ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, _____, როგორც
ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე მსესხებლის აგენტი, ხოლო, მეორე მხრივ,

_____,
(კომერციული ბანკის დასახელება, მისი ხელმძღვანელის სახელი და გვარი)

როგორც კრედიტორი, “საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო
აუქციონის დებულების” შესაბამისად აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ეროვნული ბანკი მსესხებლის რწმუნებით კრედიტორთაგან სესხულობს
ფულად სახსრებს ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე შემდგარი
გარიგების შესაბამისად, აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო საპროცენტო განაკვეთით.

ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე ყველა ვადიანობით წარმოებული ოპერაცია
განიხილება როგორც გარიგება და გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან.

2. კრედიტორის ვალდებულება

კრედიტორი ვალდებულია:

1. უზრუნველყოს აუქციონზე წარმოდგენილი პირველადი განაცხადის შესაბამისად
საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების არსებობა.
2. გადაიხადოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ საკომისიო თანხა, რომელიც
განისაზღვრება გარიგების შესაბამისად წლიური 1 პროცენტის ოდენობით.
3. განუხრელად დაიცვას აუქციონზე ვაჭრობის წესები და გარიგების პირობები.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც მსესხებლის აგენტის, ვალდებულება

საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია:

1. სესხის დაფარვის დღეს უზრუნველყოს როგორც სესხის ძირითადი ნაწილის, ისე მასზე
დარიცხული პროცენტების ვადაში დაფარვა.
2. უზრუნველყოს სავაჭრო სისტემის სათანადო და შეუფერხებელი მუშაობა, აგრეთვე
სისტემაში წარდგენილი განაცხადებისა და გარიგებების სწორი რეგისტრაცია.

4. განსაკუთრებული პირობები

1. კრედიტორი თანახმაა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უშუალოდ
განახორციელოს ეროვნულ ბანკში მისი საკორესპონდენტო ანგარიშიდან თითოეულ

აუქციონზე შემდგარ გარიგებასთან დაკავშირებული ოპერაციები, აგრეთვე კრედიტორის მიერ შესაბამისი განაცხადის წარმოდგენიდან აუქციონის შედეგების მიხედვით საბოლოო ანგარიშსწორებების დასრულებამდე შეუჩეროს აქტიური ოპერაციები მის “საკორესპონდენტო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში.

2. საკომისიო გადასახდელის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევი მხარე დაჯარიმდება გარიგებაში მითითებული თანხის 0,5 პროცენტით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელიც ეროვნული ბანკის განკარგულებით ჩამოიწერება საკორესპონდენტო ანგარიშიდან ეროვნული ბანკის სასარგებლოდ.

5. დამატებითი პირობები

1. ეს ხელშეკრულება ფორმდება 1 წლის ვადით და მისი მოქმედება ავტომატურად გრძელდება ყოველი შემდეგი 1 წლით, თუ ვადის დამთავრებამდე არაუგვიანეს 10 დღისა ერთ- ერთმა მხარემ არ მიიღო წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.
2. მხარეებს უფლება აქვთ ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ ამის შესახებ სულ ცოტა 10 დღით ადრე წერილობით აცნობებენ მეორე მხარეს.
3. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
4. ამ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ყველა სადავო საკითხი გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლო წესით.
5. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ეროვნული ბანკის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის კომიტეტში, ხოლო მეორე კრედიტორთან და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

6. მხარეთა იურიდიული მისამართები

კრედიტორი _____

მსესხებელი _____

საქართველოს ეროვნული
ბანკის ვიცე-პრეზიდენტი

მსესხებელი

აუქციონის

საქართველოს ეროვნული ბანკის
ბანკთაშორის საკრედიტო

დებულების დანართი N3

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ჩამოყალიბებამდე საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის მეთოდოდიკა

მეორადი ბაზრის ჩამოყალიბებამდე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$1) i = i_1 + \frac{d - D_1}{D_2 - D_1} * (i_2 - i_1) \text{ თუ } i_2 \geq i_1 \text{ და } D_1 \leq d \leq D_2$$

$$2) i = i_1 \text{ თუ } i_2 \leq i_1 \text{ ან } D_1 > d$$

სადაც:

I არის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთი;

d - დღეების რაოდენობა საკრედიტო რესურსების შესაძენად გამოსაყენებელი სახაზინო ვალდებულებების დაფარვამდე;

D2 და D1 არის ემიტენტის მიერ პირველად აუქციონებზე ემიტირებული სახაზინო ვალდებულებების ვადიანობები, რომლებიც ყველაზე ახლოსაა d -თან (ამასთან D2 და D1 აკმაყოფილებენ შემდეგ პირობას $D_1 \leq d \leq D_2$);

i_1 - D1 ვადიანობის ბოლო სახაზინო ვალდებულებების პირველად აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი.

i_2 - D2 ვადიანობის ბოლო სახაზინო ვალდებულებების პირველად აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი.

მაგალითი:

ემიტენტის მიერ პირველად აუქციონზე ემიტირებული სახაზინო ვალდებულებების დაფარვის ვადებია 28, 91, 182 დღე, აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კი- შესაბამისად 10%, 20%, 18%.

თუ:

1) რეპო ოპერაციების ჩასატარებლად გამოსაყენებელი სახაზინო ვალდებულებების დაფარვის ვადა შეესაბამება (d) 20 დღეს. მაშინ დაკმაყოფილება შემდეგი პირობა

$$28 = D_1 > d = 20$$

და საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მე-2 ფორმულით.

$$\text{ე.ი. } i = i_1 = 10\%$$

2) საკრედიტო რესურსების შესაძენად გამოსაყენებელი სახაზინო ვალდებულებების დაფარვის ვადა შეესაბამება (d) 70 დღეს. მაშინ დაკმაყოფილება შემდეგი პირობები:

$$1) D_1 (28) \leq d (70) \leq D_2 (91);$$

$$2) i_2 = 20 \geq i_1 = 10.$$

შესაბამისად საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება 1-ლი ფორმულით:

$$1) \quad i = 10\% + \frac{\quad}{91 - 28} * (20\% - 10\%)$$

3) საკრედიტო რესურსების შესაძენად გამოსაყენებელი სახაზინო ვალდებულებების დაფარვის ვადა შეესაბამება (d) 110 დღეს. მაშინ დაკმაყოფილება შემდეგი პირობები

$$D1(91) \leq d(110) \leq D2(182) \text{ და } i_2 = 18 \leq i_1 = 20\%.$$

ამიტომ საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მე-2 ფორმულით:

$$\text{ე.ი. } i = i_1 = 20\%$$